თენგიზ გრიგოლია

ნატოს ISAF-ის სამშვიდობო მისია ავღანეთის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესებში

აბრევიატურა ISAF «აისაფი» _ წარმოადგენს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერ ძალებს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ახლო აღმოსავლეთში დაიწყო კონტრტერორისტული ოპერაცია Enduring Freedom, აღნიშნული ოპერაციით ავღანეთიდან გაძევებული იქნა თალიბების რეპრესიული რეჟიმი. ავღანეთის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და უსაფრთხოებისათვის 2001 წლის დეკემბერში ბონის კონფერენციაზე ავღანელი ოპოზიციონერები გამოვიდნენ ინიციატივით მიეღოთ დახმარება ახალი სახელმწიფო სტრუქტურის და გარდამავალი მთავრობის შექმნისათვის. ავღანეთის ტრანზიტულ მთავრობას დახმარებაზე დათანხმდა გაეროს ავღანეთის დახმარების მისია (UNAMA) და საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები. სწორედ აღნიშნული შეთანხმებების თანახმად ჩაეყარა საფუძველი სამმხრივ პარტნიორობას.

ISAF თავიდან გაეროს უშიშროების საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში არსებული კოალიცია იყო, რომელიც მოხალისე ქვეყნების (თურქეთი, გერმანია, ნიდერლანდების სამეფო) სამხედრო კონტინგენტების ექვსთვიან როტაციებს ახორციელებდნენ ავღანეთში [1:11]. 2003 წლიდან აღნიშნული მისიის წარმოების მანდატი გაერომ ნატოს გადასცა. ნატოს ISAF-ის მისია მთლიანად პასუხისმგებელი გახდა კონტინგენტის ძალების მეთაურობაზე, კოორდინაციაზე, დაგეგმვაზე, ქვეყნის ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციაზე.

თავიდან ISAF-ის მანდატი ქაბულსა და მის მომიჯნავე ტერიტორიის ურთიერთობასა და რეაბილიტაციას მოიცავდა. 2003 წლის ოქტომბრიდან ISAF-ის მანდატმა ავღანეთის მთელი ტერიტორიის დაფარვა დაიწყო. ISAF-ის მისია ხორციელდება ოთხი ეტაპის საფუძველზე: ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი. 2004 წლის 7 ოქტომბერს დასრულდა ISAF-ის ავღანეთში ექსპანსიის პირველი ეტაპი. მეორე ეტაპი დაიწყო 2005 წლის 10 თებერვალს და 2005 წლის სექტემბერში დაასრულა.

2005 წლის დეკემბერში დაიწყო ნატოს მიერ მესამე ეტაპის განხორციელება, რომელიც დამთავრდა 2003 წლის 31 ივლისს.

2006 წლის 5 ოქტომბერს ნატოს მისია ISAF-მა აღმოსავლეთ ავღანეთზე კონტროლის დახმარებით დაასრულა თავისი IV ეტაპი.

ISAF-ის მისია ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მხარდასაჭერად ახორციელებს ოპერაციებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და

სახელმწიფო მმართველობის მოწესრიგება.

ISAF მხარს უჭერს ავღანეთის რეკონსტრუქციასა და განვითარებას, რომელიც ტარდება ისეთი საერთაშორისო აქტიორების მიერ, როგორებიცაა GIROA და UNAMA [3:9].

მობილური ფინანსური გაფართოების საქმეში აქტიურია პილოტური საფინანსო პროგრამა. აქტიურია პროვინციის განვითარების სამუშაო ჯგუფებისათვის აქტივობა, მათი პროგრამა პარტნიორობს ავღანეთის ისეთ სტრუქტურებთან, როგორებიცაა: ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, გარეუბნის განვითარებისა და რეაბილიტაციის სამინისტროები. ISAF-ის მისიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია სამუშაო ადგილების შექმნა და ექსტრემისტების მოქმედებისათვის ხელის შეშლა.

ISAF-ის პრიორიტეტს წარმოადგენს სამოქალაქო-სამხედრო და სასოფლო-სამეცნიერო განვითარების სტრატეგიის აღდგენა.

ISAF-ის ძალები აქტიურობენ ავღანეთის მთავრობის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად ყაყაჩოს თესლის კულტივაციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნატოს ISAF-ის ჯარების მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის სექტორში შემოსავლების სწრაფი ზრდა, ირიგაციული ინფრასტრუქტურისა და წყალსაცავების რეაბილიტაცია, ავღანელების რწმენის აღდგენა კერძო სექტორის განვითარებისა და მათთვის ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებით.

აგრობიზნესის განვითარება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა: აგრო-ბაზრის სანდოობის გაზრდა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, ტრანსპორტირება და შენახვა, საკვების უსაფრთხოება [4:19].

ISAF-ის მისია, ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან ერთად, ახორციელებს ავღანეთის მთავრობის რეინტეგრაციის პროგრამას. მასში ჩაბმულია საზოგადოება და ინდივიდუალური ჯგუფები, ყურადღება ექცევა დაცვას, ამინისტიას, დასაქმებას, რეინტეგრაციას, ასევე მონიტორინგსა და დერადიკალიზაციის მექანიზმების შექმნას [5:23].

ISAF-ისა და ავღანეთის მთავრობის რეინტეგრაციის პროგრამის მთავარი პრინციპებია: ძლიერი პოლიტიკური ლიდერობის შენარჩუნება, რეინტეგრაციის არეალის გაფართოება და ავღანეთის ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთისათვის შეიმუშავა კანონის უზენაესობის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს იუსტიციის სექტორის განვითარებას შემდეგი მიმართულებით: სახელმწიფო სასამართლო სისტემის მშენებლობა, ტრადიციული უთანხმოებების გადაწყვეტა და სამოქალაქო წონასწორობის სისტემა, ეროვნულ და პროვინციების დონეზე საერთო სასამართლო ტრადიციული სისტემის მშენებლობა.

ნატოს ISAF-ის ქვეყნების კონტრიბუცია ავღანეთის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესებში 48 ქვეყანას შეადგენს, რომელთა სამხედრო კონტინგენტი 103 ათასი სამხედრო მოსამსახურეა, საქართველო თითო სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი კონტრიბუტორია, მისი კონტინგენტის რაოდენობა 935 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს. ამ მხრივ იგი მხოლოდ დიდ ბრიტანეთს ჩა-

მორჩება. ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფონ რასმუსენმა დადებითად შეაფასა საქართველოს, როგორც ნატოს პარტნიორი ქვეყნის, მხარდაჭერა ნატოს ISAF-ის საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების მისიისათვის და მადლობა გადაუხადა მას გაწეული წვლილისათვის [5:14]. საქართველოს მიერ ავღანეთში ჯარების მივლინება და მონაწილეობა ავღანეთის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესებში მას გზას უხსნის ნატოს ევროატლანტიკურ სივრცეში, ქვეყანას აქვს გაცნობიერებული, რომ მისი ინტეგრაცია ნატო-ში იქნება ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი.

TENGIZ GRIGOLIA

S u m m a r y

ISAF was created in accordance with the Bonn Conference in December 2001. Afghan opposition leaders attending the conference began the process of reconstructing their country by setting up a new government structure, namely the Afghan Transitional Authority. The concept of a UN-mandated international force to assist the newly established Afghan Transitional Authority was also launched at this occasion to create a secure environment in and around Kabul and support the reconstruction of Afghanistan.

These agreements paved the way for the creation of a three-way partnership between the Afghan Transitional Authority, the United Nations Assistance Mission in Afghanistan (UNAMA) and ISAF.

On 11 August 2003 NATO assumed leadership of the ISAF operation, turning the six-month national rotations to en end. The Alliance became responsible for the command, coordination and planning of the force, including the provision of a force commander and headquarters on the ground in Afghanistan.

This new leadership overcame the problem of a continual search to find new nations to lead the mission and the difficulties of setting up a new headquarters every six months in a complex environment. A continuing NATO headquarters also enables small countries, less likely to take over leadership responsibility, to play a strong role within a multinational headquarters.

Since 2006, ISAF has been involved in more intensive combat operations in southern Afghanistan, a tendency which continued in 2007 and 2008.

Attacks on ISAF in other parts of Afghanistan are also mounting.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგიტიშვილი თ., ბურკაძე ხ. _ საქართველო მშვიდობის სამსახურში, თბ., 2010.
2. ბურკაძე ხ., კორეპანოვი ა. _ ეს ნატოა, თბ., 2008.
3. NATO military Structure, briefing, April, 2007.
4. The Future of NATO (Council Special Report – James M. (mar. 22, 2010).
5. Understanding Peacekeeping – 2010, Alex J, Paul Williams
6. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საჯარო ინფორმაცია.